ბრძანება:**ბ44. 442316020**
თარიღი:**09/06/2023**

ქალაქ ქუთაისში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახი) რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა (,,შემსყიდველი“) და სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ შორის, 22/02/2023 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N102 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენის“ მიერ შეუსრულებლობის/ დარღვევის გამო, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისა და მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ

22/02/2023 წელს, ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას (,,შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ (,,მიმწოდებლი“, ს/კ 251721150) შორის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, №NAT220027710 ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №102 ხელშეკრულება. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენდა, ქალაქ ქუთაისში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახის) რესტავრაცია-რეაბილიტაცია. ხელშეკრულების ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადის ჩათვლით განისაზღვრა 955 555 (ცხრაას ორმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ოცდახუთი) ლარი. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელს 30/12/2023 წლის ჩათვლით უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო, კერძოდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახის) რესტავრაცია-რეაბილიტაცია. განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 03.08.2020 წლის ჩათვლით, გარდა საგამონაკლისო პუნქტებისა. მხარეთა შორის გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებით განისაზღვრა ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მისი თანმდევი შედეგები და სხვა მნიშვნელოვანი პირობები. ალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ შორის, **22/02/2023** წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **N102** ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებდა შპს ჯეოექსპერტი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, შპს ჯეოექპსერტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის

შესაბამისად, კონტრაქტორი მხარე იქნა გაფრთხილებული ორმხრივი შეთანხმებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების ამოქმედების თაობაზე (12/04/2023 წლის N03-4423102232 და 15/05/2023 წლის N03-4423135554 წერილები). განვმარტავთ, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორმხრივ, კონსესუალურ და სასყიდლიან გარიგებას და რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამუშაოს შედეგს, არამედ სამუშაოს შესრულების მიმდინარეობას, რაც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისობას ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, რომელიც თავის მხრივ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მეორე კარის პირველი თავის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. 379-ე მუხლის თანახმად: ,,კრედიტორი არ არის ვალდებული მიიღოს სხვა შესრულება, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა შესრულება დიდი ღირებულების მქონეა.“380-ე მუხლის თანახმად: ,,თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში განსაზღვრული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.“ მე-400-ე მუხლით: ,,მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას.“ გარდა ამისა, ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, მოვალემ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის უნდა გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა - პირგასამტეხლო.“ მსგავსი ტიპის, ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობისას, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მისთვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის ან გაფრთხილების შემდეგ, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი მეორე ხელშემკვრელ მხარეს ანიჭებს უფლებას, უარი განაცხადოს სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებაზე. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია, მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მხარეთა მიერ სახელშეკრულებო პირობების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა. ქალაქ ქუთაისში, ქ. ქუთაისში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახის) რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ შორის, **22/02/2023** წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №102 ხელშეკრულების მე-13-ე მუხლი განსაზღვრავს, ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შედეგებს. მოცემული მუხლის ჩანაწერის თანახმად, ამ შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან ცალკეული ნაწილის შეწყვეტის თაობაზე. გადაწყვეტილების მიმღებ მხარეს ეკისრება ვალდებულება მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, მოახდინოს ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარის ინფორმირება. ამავე ხელშეკრულების 13.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი“ გადაიხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის ოდენობით.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის

შეწყვეტისა და მიმწოდებლის მიმართ შესაბამისი საჯარიმო სანქციის გამოყენების ყველა აუცილებელი კრიტერიუმი, კერძოდ: მიმწოდებლის მიერ, მოხდა ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა. სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლისა და მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების 14.1 პუნქტის ჩანაწერების თანახმად, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების აუცილებელ წინაპირობას მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს მეორე მხარის ინფორმირება, მოსალოდნელი შედეგების თაობაზე. მხოლოდ ამის შემდეგ, შესაბამისი ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა და დამრღვევის მხარის მიმართ, ორმხრივი შეთანხმებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციის გამოყენება. 12/04/2023 წლის N03-4423102232 და 15/05/2023 წლის N03-4423135554 წერილებით, სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ ეცნობა, N102 ხელშეკრულების 13 მუხლით გათვალისწინებული სანქციისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5 თავისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ შორის 22/02/2023 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N102 ხელშეკრულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახის) რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ შორის 22/02/2023 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N102 ხელშეკრულება, მიმწოდებლის - სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევის/შეუსრულებლობის გამო, ჩაითვალოს შეწყვეტილად 06/06/2023 წლიდან.

2. სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენს“ (ს/კ 251721150), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ქალაქ ქუთაისში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახის) რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიზნით, 22/02/2023 წელს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №.102 ხელშეკრულების პირობების დარღვევის/შეუსრულებლობის გამო, დაეკისროს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5% ოდენობით, 47 778 (რომოცდაშვიდი ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარი და 13.2 პუნქტის შესაბამისად 102 ვადაგადაცილებულ დღეზე (25/02/2023-06/06/2023 პერიოდი) 97 466 (ოთხოცდაჩვიდმეტი ათასს ოთხასსამოცდაექვსი) ლარი, სულ 145 244 (ასორმოცდახუთი ათას ორასორმოცდაოთხი) ლარის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ გადახდა.

3. სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენმა) 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს, თანხის ჩარიცხვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშზე მოცემული რეკვიზიტების გათვალისწინებით.

/ანგარიშის რეკვიზიტები: მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22,

სახაზინო კოდი: 300183287 შემოსავალი ხელშეკრულების პირობების

დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან/

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრქუტურის სამსახურმა უზრუნველყოს მოცემული ბრძანების ადრესატისათვის ჩაბარება.

5.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი